ლისებისა, განრულებისა, გაღრმავებისათვის, ვისარგებლებთ რა ამისათვის როგორც ევროპის მაგალითებით, ისე საქართველოს და მთელი კავკასიის წარსულის კვლევა-ძიების უახლეს შედეგებით. ამ მხრივ ჩვენი მუშაობა მხოლოდ დასაწყისშია, მაგრამ მეტად საიმედო ნიშნებს იძლევა, როგორც მასალის მხრივ, ისე დამუშავების შესაძლებლობის მხრივაც. ჯერ-ჯერობით ვიტყვი მხოლოდ, რომ საუკეთესო მასალას დავით აღმაშენებლისა და მომდევნო ხანა გვაძლევს, აგრეთვე საქართველოს მდგომარეობა 18-20 საუკუნეში, და რომ ეროვნული იდეოლოგია ვერ ასცდება ამოცანას, თუ რა გზით უნდა მოეყაროს თავი ქართველობის გარშემო მის თვისებებზე ელემენტებს კავკასიაში. ის ვერ დაივიწყებს აგრეთვე კავკასიის გარეშე ბედით გადასროლილ მოძმეთ, რომელთა იძულებით გადასახლება მათვე და-დასა ტანჯვის მიძიე უღელი, ხოლო სამშობლოს სასარგებლოდ უმეტესად მძევლის როლი გაუწევიათ. მათთან ზნეობრივ-კულტურული კავშირის აღდგენა მიჩნეულ სახელმწიფოთა უპირატესობის დაცვით ჩვენი ისტორიული მოვალეობაა, რომლის შესრულება მხოლოდ თავისუფალ საქართველოს და მთელს კავკასიას შეუძლია.

ტიტ მარგველაშვილი

პირველი ივლისის კრებაზე

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო!
 გაიმარჯვა ქართულმა ძალამ, ქართულმა აზრმა, ქართულმა გრძობამ;
 გაიმარჯვა ქართულ ძალთა კონცენტრაციის იდეამ, ქართულმა პოლიტიკურმა პლატფორმამ, ქართულმა მორალმა და მოქმედებამ;
 გაიმარჯვა ქართულმა იდეამ და დროვამ!
 დამარცხდა მენშევიზმი, რუსული ძალა, აღმოსავლური შორეულ ქვეყანაში, საქართველოსათვის უცხო და მტრული;
 დამარცხდა „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის ყოფილი ფალავანი, ასე თავდაუზოგავად რომ იბრძოდა რუსული ცენტრალიზმის ბატონობისათვის;
 დამარცხდა რუსეთიდან შემოჭრილი ნილიისტური ამორალიზმა, უხვად დაფანტული სიტყვებსა და მოქმედებაში;
 დამარცხდა საქართველოს კატასტროფათა მომწყობი და სახელმწიფო ძალთა გამოიშველ-გამწიფებელი ხელმძღვანელობა;
 დამარცხდა ის ადამიანი, რომლის სახელი უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე გადაიტყა ქართველი ერის უბედურებათა სიმბოლოც.
 ამ სასიკვდილოდ დაჭრებულ და სულთან ბრძოლაში ჩაყარულ ძალასთან ერთად დამარცხდნენ ისეთებიც, რომელთა ადგილი არ უნდა იყოს ამ გაბოროტებულთა რაზმში, არამედ იქ, სადაც ძველს ქართული გული, სადაც გაშლილია და ბატონობს ქართული დროშა, სადაც საქართვე-

ლო მიჩნეულია უზენაეს და უდიდეს ცნებად. ჩვენ აქ მწუხარებით აღვნიშნავთ ამ ანორმალურ მდგომარეობას და იმედს გამოვსტკავებთ, რომ თვით იზრუნებენ ამის გამოსწორებისათვის.
 დიდად მნიშვნელობა პირველი ივლისის გამარჯვებისა. პირველად ცამეტი წლის განმავლობაში ქართველმა ემიგრაციამ ახდინა, ცხადია თქმული სიტყვით გამოუცხადა უნდობლობა და უკუვადო გაბატონებული მენშევიზმი. ამ დღეს ემიგრაცია შეებრძოლა და დამარცხდა „პოლიტიკური ცენტრი“, ეს ჩვენ უბედურებათა სათავე და წყარო, ეს ყოველმხრივ ვაკოტრებულ პოლიტიკურ ცენტრთან ეკონომიური კოორპირაცივი, ეს სულიერი მთხოვართა საბუდარი, რომელთათვის ქართული საქმე იყო და არის მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის საექსპლოატაციო ობიექტი.
 გაიმარჯვა ქართულმა საქმემ!
 და ამ გამარჯვებას ჩვენ ვულოცავთ მთელ ქართულ ემიგრაციას.
 *
 პირველი ივლისის ქართული კოლონიის მრავალრიცხოვან კრებაზე დაისვა და გადაწყდა დიდი მნიშვნელობის საქმე: საფრანგეთში მყოფ ქართული ემიგრაციის საბჭოს დაარსება.
 კრების წინაშე დაისვა სამი რეზოლუცია. პირველი ეკუთვნოდა ქართული კოლონიის მიერ ამ საქმისათვის არჩეულ კომისიის და მომავალ საბჭოს აღიარება სხენებული ემიგრაციის უმ-

დღეს ორგანოდ, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებაში და ქართული ემიგრაციის უფლებრივი მდგომარეობის მოპოება - დაცვაში იქმნებოდა განსაზღვრული მხოლოდ ფრანგული კანონებითა და საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით; მეორე — ბ-ნ ევ. გეგეჭკორის; ეს რეზოლუცია საბჭოს შესადგენად მოითხოვდა არჩევნების პრინციპის უკუგდებას, ამცირებდა საბჭოს უფლებებსა და ავტორიტეტს; და მესამე ეკუთვნოდა ბ-ნ ალ. ასათიანს; ის მიმართული იყო თვით საბჭოს დაარსების წინააღმდეგ და მოითხოვდა მის გათქვეფას კოლონიის გამგეობის ფუნქციებში.

კომისიის რეზოლუცია ეკუთვნოდა ე. წ. „პოლიტიკური ცენტრისადმი“ შეურაცხველ ოპოზიციას მყოფ მიმართულებებს; ბ-ნი ევ. გეგეჭკორის — ქართული სოც.დემ. პარტიის მენშევიკურ ფრაქციას, და ბ-ნ ასათიანის — ეროვ.დემ. პარტიის იმ ჯგუფს, რომელიც საჯაროდ მოითხოვს მარქსიზმის დროშის მოხსნას ჩვენი პოლიტიკური ასპარეზიდან, მაგრამ ამავე დროს შედის „პოლიტიკურ ცენტრში“, სადაც სწორედ ეს დროშა ბატონობს და მას ჩოქით ემსახურება.
 კამათის შემდეგ, მენშევიკების წარმომადგენლებმა ბ-ნ წულაძემ და ბ-ნ ურატაძემ ბ-ნ გეგეჭკორის რეზოლუცია მოხსნეს და ზოგიერთი შენიშვნებით შეუერთდნენ ბ. ასათიანის რეზოლუციას. ამნაირად ამ დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტის დროს მენშევიკებს არ დაურჩათ თავისი სიტყვა, თვითნათი აზრი და საკუთარი სურვილით გაითქვიფნენ ბ. ასათიანის რეზოლუციით.

ეს არის ჩვენი პირველი დასკვნა.
 მიუხედავად ასეთი ნაბიჯისა უორდანი-ასათიანის ანტიმენშევიკური ბლოკი სასტიკად დამარცხდა. მან მიიღო 98 ხმა წინააღმდეგ 114-ისა, რომელიც მიიღო ოპოზიციის რეზოლუციამ. ემიგრაციამ თავისი აზრი გამოხატა ახლილი კენჭის ყრით. ასეთი იყო სურვილი ოპოზიციისა. თუმც მან იცოდა, რომ ფარული კენჭისყრა დააკლბდა მის მოწინააღმდეგეებს და შემატებდა მას 20-30 ხმას. ოპოზიციის სურდა, რომ ემიგრაციის დაპირისპირებულ წრეებს თავიანთი აზრი გამოეთქვათ ცხადად და პირისპირ.

ეს არის ჩვენი მეორე დასკვნა.
 ბლოკის მომხრეთა შორის თითქმის არ ურევია ახალგაზრდობა. ჩვენი იმედების მატარებელმა და ჩვენი სინიდის მდროშე ახალთაობამ გასწირა მორალურად და პოლიტიკურად ვაკოტრებული ხალხი.
 ეს არის ჩვენი მესამე დასკვნა.
 ჩვენ მოწინააღმდეგეთა რიგები შეირყა და დაინგრა. ასათიანი - უორდანიას რეზოლუციის არ მისცეს ხმები უორდანიას მთავრობის ზოგიერთმა ყოფილმა მინისტრებმა და ასათიანის „ბიუროს“ წევრებმა. მათგან ზოგმა ხმა მისცა ოპოზიციის რეზოლუციას.

ეს არის ჩვენი მეოთხე დასკვნა.
 არ ვიცი, რა ინტერესს წარმოადგენს ჩემთვის ან სხვებისათვის საკითხი იმაზე, თუ რატომ და როგორ გამყრელიძემ თავისი ხელმოწერით და პასუხისმგებლობით თავისი გამოშლანება აღნიშნულ ორგანოში მოათავსა. ჩემთვის და რამდენადაც ვიცი, ქართული კოლონიისათვის საინტერესოა ვაგვევო, როგორ აწარმოვა საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრმა დემიდოვმა პროვოკაცია ქართულ ემიგრაციაში და რასაც პირველად ფარდა ახადა გამყრელიძემ თავის რუსულ წერილში. და რომ დემიდოვი მართლა აწარმოებდა პროვოკაციულ მუშაობას, ცხადია იქიდან, რომ შემდეგ მისი მუშაობის გამოქვეყნებისა, ის გამოიჩინებოდა იქნა საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობისაგან და გაწვეული საფრანგეთიდან. მისკოვს მოუვიდა უდიდესი დიპლომატიური მარცხი, დამტკიცდა, რომ მისი მეორე მდივანი გ.პ.უს უბრალო ფულგერია. აშკარაა, რომ დემიდოვის გადაყენებით მოსკოვი ჩვენს წრეში მუშაობას არ შეწყვეტდა. გადმოგზავნილ მასალაში ამისი არაფერია. ის ეხება არა დემიდოვის მოქმედებას, არამედ მისი გამოშლანებულის. საკითხის ასეთი შებრუნება არ შეეფერება არც კოლონიის ღირსებას, არც ქართული საქმის ინტერესებს. თქვენი პატივისცემელი ნოე უორდანი. პ.ს. — რამდენათაც ვამიგია, თქვენ ხელთ არის ოქმები შესახებ ნოე რამიშვილის მკვლელობისა. ვთხოვთ მათი პირი თქვენ მიერ შემოწმებული გადმოგზავნოთ. ნ.

ეს არის ჩვენი მეხუთე დასკვნა.
 ასათიანი - უორდანიას რეზოლუციის მიერ მიღებულ ხმებიდან ერთი ნაწილი ეკუთვნის მათ, ვინც პირადად იღებს ე. წ. „პოლიტიკური ცენტრისაგან“ ჯამბურებსა და უსტსიდებს; მეორე ნაწილი ეკუთვნის ამ პირთა ოჯახის წევრებს, და ნათესავებს.
 ამნაირად, მიღებულ ხმათა დიდი ნაწილი ეკუთვნის „პოლიტიკური ცენტრის“ „ნახლებიკებს“.

ეს არის ჩვენი მეექვსე დასკვნა.
 დამარცხებულთა ხმების ერთი ნაწილი ეკუთვნის ბ. ასათიანის ჯგუფს; მეორე ნაწილი ეკუთვნის ბ. გეგეჭკორის ფრაქციას, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც პირდაპირ ოპოზიციისაში უდგა მენშევიკურ ფრაქციას და მის ხელმძღვანელს ბ. უორდანიას. ამნაირად, მიუხედავად იმისა, რომ ბ. უორდანიას უკავია მთავრობის თავჯდომარის მდგომარეობა; მიუხედავად ქართული ხაზინის მის ხელში ყოფნისა, რომელსაც ის ხარჯავს პირადად თავისი და თავისი ფრაქციის მდგომარეობის გასამაგრებლად; მიუხედავად თავის პოლიტიკურ მოპირდაპირეთა მკაცრად დაუზოგველობისა და კანონიერ და უკანონო საშუალებათა უკანონო ხმარებისა, მის მიმდევართა რიგები ძალიან მცირეა. ბ-ნმა უორდანიამ მოახერხა და დაანგრია ქართული სოც.დემ. პარტია და მიიყვანა მისი რაოდენობა მენშევიკურ ფრაქციის ზომამდე.

ეს არის ჩვენი მეშვიდე დასკვნა.
 ასე და ამნაირად კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ შეუძლებელია მორალური გახრწნა-განიაციების შემოღება-განვიტარებით, ცხოვრებით შეზინებულ ადამიანთა ყიდვითა და დაქირავებით მართვა-გამგეობის წარმოება და ეროვნული საქმის ხელმძღვანელობა. ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა მორალის ამაღლება და ზნეობრივი ავტორიტეტის შექმნა და შექენა.
 ეს არის ჩვენი მეშვიდე დასკვნა და ბ-ნ უორდანიას გარდა ყველასათვის სავალდებულო აქსიომა.

„ბრძოლის ხმა“-მ თავი მოუყარა რაც ამ წლების განმავლობაში ცილი დაგვწყა და ერთ „სინტეტური ნაწარმოებდ“ თავის მკითხველს გადაუშალა.
 „ბრძოლის ხმის“ ამ „საგანგებო გამოცემას“ შემდეგ ნომერში შევხვებით.

პარტიული პრესისა
 „ორნატი“
 გამოვიდა საპოლიტიკო კრებული „ორნატი“-ს მესამე ნომერი; ყურნალი შეიცავს 48 გვ. მოთავსებულია ბ.ბ. ვ. ნოზაძის, ის. მანჭავას და .სხ. წერილები.

„ბამყრამიძის წიარწილს“ ბამო.

ბ. ნოე უორდანიას „პასუხი“
 ბ-ნი ვაკარის ჩვენებების შემდეგ, მეორე ადგილი უკავია თავისი მნიშვნელობით ბ-ნ ნოე უორდანიას ჩვენებას. ეს უკანასკნელი გამოწვეულია პირველთა შინაარსით და წარმოადგენს მათ პასუხს. ამიტომ და აგრეთვე იმის გამო, რომ საქმის აზრი და გასაღები უნდა ვეძებოთ სწორედ ბ. ვაკარისა და ბ. ნ. უორდანიას ჩვენებებში, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ადვადანთო საზოგადოების წინაშე ზოგიერთი დატეხი და ფაქტები.
 27 აპრილს. 1933 წელს, გამოქვეყნდა „გამყრელიძის წერილი“. 30 აპრილს ქართულმა კოლონიამ აირჩია განსაკუთრებული კომისია ამ „წერილის“ შინაარსისა და მისი რუსულ გაზეთში მოთავსების ამბავის გამოსარკვევად. კომისია შეუდგა მუშაობას და სხვა მოქმედებათა შორის მან დაპკივინა „პოსტედნია ნოვოსტის“ თანამშრომელი ბ-ნი ვაკარი, პირველად 26 მაისს და მეორედ 3 ენკენისთვის. ბ-ნმა ვაკარმა განაცხადა, რომ მან მოათავსა „გამყრელიძის წერილი“ თავის გაზეთში მხოლოდ იმიტომ და მას შემდეგ, რაც ორმა გამოჩენილმა და „პოლიტიკური ცენტრის“ ხელმძღვანელთაგანმა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ დაუდასტურეს მას გამყრელიძის მორალური კეთილსამიერება, მისი „წერილის“ შინაარსი, და მისცეს მას, ვაკარს, მასალა სარედაქციო წინასიტყვაობისთვის. ამასთანავე მან სთქვა, რომ მისი ინფორმირებები ვასული არიან საავარაკოდ და რომ პარიზში დაბრუნდებოდნენ ერთი — ენკენისთვის ნახევარში და მეორე — დაახლოვებით ამავე ხანებში.
 საავარაკოდ ამ დროს ბრძანდებოდნენ ბ-ნი ნ. უორდანი და ბ-ნი მენაღარაშვილი
 და აი, ამის შემდეგ და ასეთ ჩვენებათა გამო, საგამომძიებლო კომისია იძულებული გახდა მიემართა ბ-ნი უორდანიასათვის.
 14 ენკენისთვის მან ვადუგზავნა ბ-ნ უორდა-

ნიას ბ-ნი ვაკარის ჩვენებების ასლი და სთხოვა მას ან სიტყვიერად ან წერილობით მოეცა კომისიისათვის თავისი განმარტებანი და მოსაზრებანი; ამასთანავე აცნობა, რომ კომისიის შემადგენლობიდან გამოყოფილი იყო ოთხი წევრი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ჰსლგზოდნ მას, უორდანიას, მის მიერ არჩეულ დროსა და ალაგას. თვით ის გარემოება, რომ ბოროტა საქმის კვალმა საგამომძიებლო კომისია მიიყვანა საქართველოს მთავრობის თავჯდომარესთან, არის მეტის მეტად სავალალო ქართული საქმისათვის და სამწუხარო ყოველი ქართველისათვის. ამა რა უნდა ყოფილიყო საერთო კრიმინალური ტიპის წერილზე ჯაშუშ გუგულა გამყრელიძისა და საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს შორის? განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ერის საქმეთა ხელმძღვანელი, თუ გინდ მხოლოდ ექვევით, ვადამბული იყოს ჭუჭყიან ტიპისა და ჯაშუშის ბოროტ მოქმედებასთან? ამიტომ ჩვენთვის ადვილი გასაგებია, რომ საგამომძიებლო კომისიის ძალზე გასძნელება მიემართნა თვით ბ-ნ ნ. უორდანიასათვის, რაც ნათლად სჩანს იქიდან, რომ ის არ დაკმაყოფილებულა ბ-ნ ვაკარის პირველი ჩვენებით, დაუკითხავს იგი ხელმოწერედ და კიდევ ამის შემდეგ დაუგროვებია სხვა ცნობები, და მხოლოდ მერმეთ მიუმართავს ბ-ნ უორდანიასათვის.
 მერა, როგორია პასუხი მიიღო მისგან? როგორც ვიცი, საგამომძიებლო კომისიამ ვაკარს მოჰყო ქვე-კომისია, რომელიც უნდა შეხვედროდა ბ-ნ უორდანიას, მაგრამ ბ-მა უორდანიამ ეს არ ისურვა.
 ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული საქმის ხელმძღვანელი მოვალე იყო მოქცეულიყო სულ წინააღმდეგ: გამოძიების დაწყების პირველი დღიდანვე, და თავისი საკუთარი ინიციატივით, იგი უნდა დაახლოვებოდა კომისიას, ვაგვო საქმის ვითარება და ყოველნაირი დახმარება აღმოეჩინა

მისთვის, — საერთოდ მუდამ გარკვეული ყოფილიყო საქმის მდგომარეობა-მსვლელობაში.
 ამის მაგივრად ბ-ნი უორდანი გაწე ვადგა თითქმის მას, პოლიტიკური ემიგრაციის მეთაურს, არ ეხებოდეს ემიგრაციის ჭირი და ვარამი, და მაშინაც კი, როდესაც ამ ემიგრაციაში, საგამომძიებლო კომისიის სახელით მიმართა მას, ბ. უორდანი მოერიდა მასთან შეხვედრას. ის შეხვდა მხოლოდ ბ-ნ უორდულს, გამოძიების დაწყების 4 და ნახევარი თვის შემდეგ, და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც საგამომძიებლო კომისიამ პირდაპირ მიმართა მას და პასუხი მოსთხოვა.
 ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნ უორდანიას ძალიან კარგად ესმოდა და ესმის, თუ რამდენად მიუღებელი, აღმაშფოთებელი და დამაფიქრებელი იყო და არის მისი ასეთი მოქმედება. და თუ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ასე მოექცა, ეს ალბად იმიტომ, რომ ამისათვის მას ჰქონდა სპეციფიური მიზეზები. სხვანაირად ფიქრი შეუძლებელია.
 ბ-ნი უორდანი ჩამობრუნდა აგარაკიდან, რამდენადაც ჩვენ ვიცით, 15 ენკენისთვის, და კომისიის წერილი, ბ-ნ ვაკარის ჩვენებათა ასლების თანხლებით, მიიღო მეორე დღეს. მისი პასუხი ამაზე დათარიღებულია 24 ენკენისთვის და წარმოადგენს იმდენათ სამნიშვნელო დოკუმენტს, იმდენად დამახასიათებელია და მრავალმეტყველო, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოყვანა მთლიანად. ყოველ ადამიანი თვით დაუფიქრდეს მას, ვათვალისწინოს ვაკარის ჩვენებანი, ასწონოს მის მიერ მოცემულ ცნობებზე უორდანიას პასუხი და გამოიტანოს თავისი დასკვნა.
 აი ეს წერილი: —
 „დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი (ყურული. -კ-ი) მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი პირი ოქმებისა შესახებ გამყრელიძის წერილის მოთავსებისა „პოსტ. ნოვ.“ში. ვფიქრობდი ამას მოყვებოდა სხვა მასალებიც; უფრო საყურადღებო, ვინც იგი, მაგრამ იმედი არ გამართლდა. მე

არ ვიცი, რა ინტერესს წარმოადგენს ჩემთვის ან სხვებისათვის საკითხი იმაზე, თუ რატომ და როგორ გამყრელიძემ თავისი ხელმოწერით და პასუხისმგებლობით თავისი გამოშლანება აღნიშნულ ორგანოში მოათავსა. ჩემთვის და რამდენადაც ვიცი, ქართული კოლონიისათვის საინტერესოა ვაგვევო, როგორ აწარმოვა საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრმა დემიდოვმა პროვოკაცია ქართულ ემიგრაციაში და რასაც პირველად ფარდა ახადა გამყრელიძემ თავის რუსულ წერილში. და რომ დემიდოვი მართლა აწარმოებდა პროვოკაციულ მუშაობას, ცხადია იქიდან, რომ შემდეგ მისი მუშაობის გამოქვეყნებისა, ის გამოიჩინებოდა იქნა საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობისაგან და გაწვეული საფრანგეთიდან. მისკოვს მოუვიდა უდიდესი დიპლომატიური მარცხი, დამტკიცდა, რომ მისი მეორე მდივანი გ.პ.უს უბრალო ფულგერია. აშკარაა, რომ დემიდოვის გადაყენებით მოსკოვი ჩვენს წრეში მუშაობას არ შეწყვეტდა. გადმოგზავნილ მასალაში ამისი არაფერია. ის ეხება არა დემიდოვის მოქმედებას, არამედ მისი გამოშლანებულის. საკითხის ასეთი შებრუნება არ შეეფერება არც კოლონიის ღირსებას, არც ქართული საქმის ინტერესებს. თქვენი პატივისცემელი ნოე უორდანი. პ.ს. — რამდენათაც ვამიგია, თქვენ ხელთ არის ოქმები შესახებ ნოე რამიშვილის მკვლელობისა. ვთხოვთ მათი პირი თქვენ მიერ შემოწმებული გადმოგზავნოთ. ნ.

„კლდე“

ემიგრანტულ პრესას კიდევ ერთი ყოველთვიური გამოცემა მიემატა — გაზეთი „კლდე“, რომელიც ქართველ ნაციონალისტთა, რომელიც ბერლინში გამოდის.

გაზეთი სდგას ტრადიციული ქართული ნაციონალიზმის დროშის ქვეშ და თავის აქცენტს პათოსს უკანასკნელი დროის ეროვნულ რევოლუციურ მოვლენებში ჰკავშირებს.

მეთაურში სხვათა შორის ვკითხულობთ: — „ჩვენ ვიბრძვი მამულისა და ერისათვის. ეს ბრძოლა არა რაიმე დოქტრინისთვის, არამედ ერის ცხოვრებისათვის, მისი უფლებებისათვის. ეს ბრძოლა ხალხისა და ხალხისურთა და იგი არ დამთავრდება რუსის ჯარის გაყვანით და რუსის მოხელეთა განდევნით: უნდა ამოვღვიოთ იქმნას ჩვენი სახიდან, ჩვენი სულიდან და სხეულიდან ყველაფერი, რაც რუსის გზით, — ძველი ადმინისტრაციული დევნის, გარუხების პოლიტიკის, თუ მარქსიზმ-კომუნისტობის გზით ყოფილა და არის შემოტანილი... ეს არის პროგრამა და იდეალი, რომელსაც თავისი საწყისი ერის დაბადებიდან მოაქვს განუწყვეტელი, უზინდია იგი ერის შავსა და ბრწყინვალე დღეებში, ერის ამაღლებისა და დაცემის ხანაში და ეზიდება მას ერის მარადისობის გზით მის გამარჯვებისა და დიდებისაკენ. ის მოქმედება, რომელიც აკინძვია ამ მარადისობის გზას, რომელსაც უცვლია ფორმები მართველობისა, უცვლია სოციალური ძალები, უტყენია საკუთარი სიბრძნით და ღირსებით შინაური და გარევე პოლიტიკა ხშირად მეტად რთულ პირობებში — ქართული ნაციონალიზმი ყოფილა. აქეთ, მის გაშლა-განადგობისაკენ მივავაქვს ჩვენ ჩვენი რწმენა, ჩვენი სიტყვა, ჩვენი საქმე.“

„კლდე“ ამავე ნომერში დაბეჭდილია შ. ქარუმიძის წერილი „ბრძოლის ხმის“, სადაც იგი ჯერ ამხურობს „ბრძოლის ხმის“ მიერ განსვენებული ქაქუცა ჩილაყაშვილის სახელისა და სხოგნის „პატივისცემის“ ნაშედილ ბუნებას და მერე ეხება რა კარგად ცნობილ ჩერვონცების საქმეს, სიტყვა - სიტყვით სწერს შემდეგს: — „ამბობთ — მართალი იცით. მაშ იცით, რომ ჩერვონცების საქმეში, რომელიც მოსვენებას არ გაძლევთ, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი აბღუბდა გაროშინათ და რომელმაც მთლად გადასარკვევად თქვენი წინებრივი და გონებრივი დოვლათი და ავლა-დიდება, — რომ ამ საქმეში პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილე იყო თქვენი ორი ბუმბერაზი, სახელდობრ: ნოე რამიშვილი და ნოე ყორღანი.“

ამ ჩემს განცხადებაში, რომლისთვისაც მოვალე ვარ, მზად ვარ ვაგო პასუხი და უნდა ვაგო კიდევ, სახეში ან საბუთად რამიშვილის ტრაბა-

ხით წამოსროლილი ნაკვესი — „თავიდან ვიცი კოდი მე მაი საქმე“, რომელიც ყველა თქვენთან განს გაგონილი აქვს, არა მაქვს. ასეთი რამე სჭირს იქ, საცა „სვინდისი კიდევ მოციქულობს“ და ადამიანი პირუტყველ პრიმიტივობას აცოლებული არის. „გარეცხილ“ კრებულში და ხალხში რა გასავალი და ფასი აქვს მას!

„სიმართლე დოკუმენტალური ფაქტების მიხედვით შემდეგია:

„პარიზში, ოტელ „გარიბალდი“, 1926 წ. მოხდა პირველი შეხვედრა და ლაპარაკი მტერთან საბრძოლველად ჩერვონცების დაბეჭდვის შესახებ. ჩემი მოზავე გახლდათ ყორღანის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი ერთ დიდ ქვეყანაში, სადაც მას ნორმალურ წარმომადგენლობასთან განსაკუთრებით შეუღულდველი დავალბანიც ჰქონდა. ეს ის პირი გახლავთ, რომლისაგან მაშინ „ფინანსიურ“ აშენებას და ხსნას მოელოდით და რომელსაც ისე უვლიდით და ეარშიყებოდით, როგორც დღეს იბლიან მეფეს და ამერიკულ მდიდარ მზითვეს.

„მოლაპარაკება შემდეგი მორიგებით გათავდა: მე ვიკისრე ტექნიკურად საქმის მოწყობა და მისი გაძლიერება; ყორღანი - რამიშვილის დღევანდელმა კი — მთელი ხარჯების შოვნა და აგრეთვე პოლიტიკურად გვერდში ამოდგომა და დაფარვა უკანასკნელი პუნქტი, რაკი იგი მხოლოდ სიტყვიერად იყო განცხადებული, მეტ შემტყიკებას მოითხოვდა. ამ მიზნით რჩება პარიზში ბარონი შტენგელი; მე მივიღივარ უკან შესაძლებლობის გამოსარკვევად. მე-5 დღეს ბ-ნი შტენგელი წერილით მატყობინებს, რომ „ეს პუნქტი სრული სერიოზობით არის ნაკისრი რამიშვილის მიერ“. მეორე წერილში იგივე მწერს: „დღეს ბ-ნი X (ასე დავარქვით ჯერჯერობით ყორღანის ელჩს) გამეზავრა, რომ ფულის გამოგზავნა დააშუროს; რაც შეეხება თქვენს მიერ წამოყენებულ საკითხს პოლიტიკური მხარის დაჭერის და პასუხისმგებლობის გაზარების შესახებ, იგი ვთხოვთ, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ“. უნდა ითქვას ბ-ნი შტენგელი უტყობი და უტყობი კაცი არ იყო რამიშვილისათვის. მას ოფიციალური წარმომადგენლობა (1925 წ.) ჰქონდა მიცემული რამიშვილის მიერ გერმანიაში გერმანულ და რუსს მემარჯვენეთა შორის მუშაობის შესახებ (იხ. წერილობითი საბუთი). აქვე მატყობინებენ, რომ დაბრუნებისას რამიშვილს ჩემი ნახვა უნდა და ეს უშუალოდ უნდა მოხდეს. ორი კვირის შემდეგ ვბრუნდები, თან მომყავს საქმის მცნობი და მცოდნე კაცი. ავ. გრანდ არმზე, ჩემ სასტუმროში ხდება შეხვედრა. მოლაპარაკებას ესწრება ჩემი ამ მოსული მცოდნეც. იგი აცნობს რამიშვილს მთელ გეგმას და მე ვუტოვებ წერილობით სმეტას. რამიშვილს ეს სმეტა, რასაკვირველია, არ დაუტარავია და იგი საკუთარი ხელით მოართვა გამოძიებას ბერლინში ჩემ წინააღმდეგ (იხ. ვა-

მოძიების არქივი). მოლაპარაკების დროს რამიშვილი ნოე ყორღანის სახელთანაც გველაპარაკებოდა და ხაზგასმით ვაფრთხილებდა, ჩემს და ყორღანის გარდა ეს საქმე არავინ იცის და არც არავინ უნდა იცოდესო. ვბრუნდებით უკან და ვუდღებთ თადარიგს. ყორღანი - რამიშვილის „ელჩი“ მე და შტენგელს გვიგზავნის დებეშას — შინაარსით: საქმარისა თუ არა ამდენი და ამდენი თანხა საქმის დაწყებისათვისო. ჩვენ დადებით პასუხზე მოგვდის მეორე, მეტად მარტივი დებეშა: ფოლგტ (მოდის). შემდეგ რამდენიმე წერილი, ქართული წარმომადგენლობის ბლანკზე ნაწერი. წერილებში ერთი და იგივე: ვიმუშაოთ, მალე მოდის და მოაქვს კიდობანი (იხ. დებეშები (ორი) და წერილები). თვეები გადის, ფული არ ჩნდება. პარიზში კვლავ ხვდება რამიშვილი ნაცნობ მცოდნეს. მისგან ვტყობილობთ, რომ „ფინანსისტი“, რომლისგანაც მათი ელჩი ფულს ელოდა, წყალში დამხრჩვალა სადღაც, რა მოსვლია დაკეცილ დოლარებს, კაცმა არ იცის. „მაგრამ, დასძენს რამიშვილი, მაი საქმე მაინც უნდა გაკეთდეს, განაგრძეთ, სხვა წყაროებიდან მოგვეღებებოთ!“ ამით თავდება პირველი ეტაპი ჩვენი თანამშრომლობისა. იწყება მეორე. მე ჩემი გერმანელი მეგობრებით ვაგრძელებ საქმეს. შეთხვევით სტამბოლში რამიშვილი „წააწყდა“ ფაქტს, ეს არწმუნებს, რომ საქმე გეღვდება და წინ არის წასული. მიბარებს, ვხვდები იმავე მოწმის თანადასწრებით. ჩვეული რიხით მეკითხება — „რავა საქმე“. — ეპატრონება საქმეს, თხოვლობს მის გამგებლობას. უარს ვუტყენი, ვზორდებით ერთმანეთს. მემუქრება დანგრევით და მოსპობით. მუქარას ახორციელებს: ა) პარიზში აწყობი ხალხი პარტიის ძველ წევრს, მის ერთერთ დამფუძნებელს, კომიტეტისა და აღმასრულებელ ბიუროს წევრს პარტიიდან მრიცხავს ბრალდების წამოუყენებლივ. დაუკითხავად და მიკრძალავს პოლიტიკურ მუშაობას.

ეს დადგენილება ეგზავნება ყველა გერმანელს, რომელთანაც ჩემს კავშირს გულისხმობს. ბ) საქართველოში ეგზავნება ცნობილი ყორღანი - რამიშვილის წერილები პრაგელის ხელით. შინაარსი ყველამ იცის. კიდევ არის მეორე წერილი რამიშვილის ხელით დაწერილი, მურტალი ცილისწამება და დაბეჭდება განადგურებულ ოჯახთან და ძაბით მოსილ მახლობლებთან...

„ვემართება მარცხი. ვეღვენის მართებლობა, რამიშვილი უმალ ჩნდება ბერლინში. თავისი ინიციატივით (ის არავის მოუწყვია), ერევა გამოძიებაში, აძლევს ცნობებს, რომელთაგან ბევრი ზიზღს იწვევს გამოძიებლის თვალში და უკან ბრუნდება. ყორღანის განკარგულებით მისი რწმუნებული აარსებს ინტერპარტიულ ბიუროს ჩემს წინააღმდეგ სასამართლოში საბრძოლველად — ბოლშევიკი და მენშევიკი ტყბილად თანა-

მშრომლობენ; მობოლშევიკო გაზეთების ფურცლები ღიაა და იგნება მენშევიკთა ნაწარმოებით. ყველა მათგან მოწოდებული ცნობა ყალბი დგება და ყალბი არის. სასამართლოს დადგენილება მათზე არა მოქმედობს. ითხზება ზღაპრები ვინმე დოლოძეზე და სხვ. იჭორება პრესა, ყალბდება საზოგადოებრივი აზრი. და დღემდის გრძელდება ეს თქვენი ბნელი კამპანია.

„შეტყვიან — რატომ დღემდის არ გამოაქვეყნე ეს ამბავი, რატომ საბრძოლველო საქმეზე ჩემთან ერთად ყორღანი და რამიშვილი არ იხსენებენ? არ დაველავე, უმთავრესად სწორედ იმიტომ, რომ ამ ბატონთა სხდომა საქმეს დაამძიმებდა. საქმეს რწმენითი სახეს შეუტუტყუიანებდა. სამართალი სხვა რამ გახლავთ და მისი ყოველმხრივ მჭკრეტელი თვლი, ვინ იცის, რა სიმძორეს აღმოაჩენდა, ვინ იცის, რამდენი ლანდი უდნაწაშალოდ დღენილი დიდი და საშუალო ქართველისა წამოიშლებოდა მესხიერებისა და თვალსა წინაშე, რამდენი შავი საქმე ვადაეშლებოდა საზოგადოებრივ აზრს... ამას მოვერიდე.

ამბობთ, მართალი იცით, აი მართალი ეს გახლავთ! სხვა სიმართლე არ არსებობს და მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ყოველი აქ აღბეჭდილი სიტყვისა და აზრის სიმართლეზე; და მოველი რა, რომ მომთხოვთ ამის დამტკიცებას, აქვე ვაახლებთ ჩემი ვექილის ვინაობას და მისამართს: —

Dr. A. Menz, Rechtsanwalt. Berlin, w 15, Fasanenstrasse 74.

შ. ქარუმიძე

არსებობს თუ არა საიდუმლო შემთანხმება მოსკოვსა და ანკოვსა შორის კამპანის შესახებ

ამ სათაურით ჟურნალ „კავკას“-ში (იხ. N 6) მოთავსებულია წერილი, რომელიც ეკუთვნის ფრანგ ჟურნალისტს ბ-ნ დ. მოლს. ეს უკანასკნელი მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში იყო შეუცვლელი კორესპონდენტი „ჟურნალ დე დებასი“ ოსმალეთსა და ბალკანეთში; კარგი მცოდნეა თურქული ენისა და პირადათ იცნობს ახალ გაზრდა ოსმალეთის ხელმძღვანელებს.

ბ-ნ მოლს არა ჰგონია, რომ ხმები მოსკოვისა და ანკოვის შეთანხმების კავკასიის შესახებ სიმართლეს შეეფერებოდეს. იგი ამტკიცებს, რომ თვით ოსმალეთში ამის შესახებ არასოდეს კინცხობდნენ და ამის შესახებ არასოდეს მოხსენიებდნენ. იგი ამტკიცებს, რომ თვით ოსმალეთში ამის შესახებ არასოდეს მოხსენიებდნენ და ამის შესახებ არასოდეს მოხსენიებდნენ.

Gérante : L. SAINT-REMY. Imprimerie « PASCAL », 13, rue Pascal, PARIS (5^e)

სხვა საგანზე, ლაპარაკობს გამყრელიძეზე, დემიდოვზე; აქვს პირველ და ისეთ ნაირად, რომ ძალაუფლებურად გახსენდება ადამიანს „გამყრელიძის წერილთან“ დართული წინასიტყვაობა; იმეორებს გამყრელიძის შეცდომას და უწოდებს დემიდოვს მეორე მდივნის სახელს. ამასთანავე აცხადებს, რომ ის ვერ მიხვდა, თუ ვისთვის რა ინტერესს წარმოადგენს „გამყრელიძის წერილის“ გამოქვეყნების ამბავი; რომ თურმე მოსკოვს მისვლია უდიდესი დიპლომატიური მარცხი, რომელიც მისთვის მიუყენებია გუგულა გამყრელიძის, — დიახ, ასე სწერია, და ასეთ სიბრძნეს სწერს ქართული საქმის ხელმძღვანელი; რომ გამყრელიძის დაუმტკიცებია, ბოლშევიკები ეწვეიან თავის მუშაობას ემერატიაში, — თითქოს ამას რაიმე დამტკიცება სჭირდა ან სჭირა, — ერთი სიტყვით, მის წერილში არის მრავალი რამ და არ არის მხოლოდ ერთი, ის, რაც უნდა იყოს: — პასუხი ბ-ნ ვაკარის განცხადებაზე, — ჩემი ინფორმაციები ეძებთ თქვენი „პოლიტიკური ცენტრის“ ხელმძღვანელთა შორისო.

და ბოლოს, სწორედ ნილისტური „გამბედაობით“ იერიშზედაც კი გადადის: — მისი აზრით, თურმე, საგამომძიებლო კომისია სჩადის ისეთ რამეს, რაც არ შეეფერება არც კოლონიის ღირსებას და არც ქართული საქმის ინტერესს, და მოითხოვს ოქმებს „შესახებ ნოე რამიშვილის მკვლელობისა“, თითქოს საგამომძიებლო კომისია არა იყავდეს ამ საქმეს და არა გუგულა გამყრელიძის და მის ზურგს უკან დამატული ორი ქართველი „პოლიტიკური მოღვაწის“ ვინაობას. ასეთი წერილის შემდეგ, კომისია, რასაკვირველია, იძულებული გახდა მეორედ მიემართნა ბ-ნ ყორღანისთვის. და ვინაიდან ეს მიმართვა, საესე ავტორთა მხრივ თავისი მოვალეობის შეგნებით, თავდაპირველი, მაგრამ ამავე დროს მაგარი და გარკვეული, არის მართლა ღირსეული პასუხი და შესანიშნავი დოკუმენტი; ჩვენ მასაც მთლიანად მოვიყვანთ: — დიდათ პატივცემულო, ბატონო თავჯდომარე,

მივიღე თქვენი 24 ენკენისთვის ბარათი და კომისიის მოვასხენე. კომისიის დავალებით მაქვს პატივი შემდეგი ვაცნობთ: — კოლონიის ჩვენი კომისიისათვის ბოლშევიკთა პროვოკაციასთან ბრძოლის მეთოდების შემუშავება არ დაუვალეობისა. ამიტომ კომისია ამ საგანს მიზნად ვერ დაისახავდა და პროვოკაციის შესახებ მას მხოლოდ მცირედოდენი მასალა თუ მოეყოლება. ხოლო გამყრელიძის წერილის რუსულ გაზეთში მოთავსების ფაქტი და ამ წერილში მოყვანილი ცნობები კომისიას დიდათ ეინტერესება. და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ამ წერილის რუსულ გაზეთში მოთავსებამ და აღნიშნულმა ცნობებმა ქართველთა შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. კომისიის მიზანია რა თავის უპირველეს მოვალეობად შეეცადოს ქართველთა შორის მშვიდობიანობა და ურთიერთისადმი ნდობა აღადგინოს, ის დიდ მნიშვნელობას აკერძებს გამყრელიძის წერილს რუსულ გაზეთში მოთავსებასა და სურს ეს საკითხი ძირიანად გამოარკვიოს. რუსულ გაზეთის რედაქციასთან მოსალაპარაკებლად კომისიამ თავისი სამი წევრი წარგზავნა. მათ ეუბო ეზადებათ, რომ ბ-ნ ვაკარს (რუსული გაზეთის წარმომადგენელს) თქვენც ჰყავდით მხედველობაში, როდესაც ის ამტკიცებდა, რომ მას გამყრელიძის წერილის შინაარსი ავტორიტეტულმა პირებმა დაუდარსტურეს და რედაქციის წინასიტყვაობის მასალა მისცეს. ყოველი ეუბოს გასაფანტავად კომისიამ თავის მოვალეობად ჩასთავა ვაკართან მოლაპარაკების ოქმები თქვენთვის გუგულა და გამყრელიძის საკითხი გაგერკვათ. ჩვენის რწმენით, კოლონიის დიდათ ეინტერესება ეს საგანი და, დარწმუნებული, რომ ამ რწმენას თქვენც იზიარებთ, ვბედავთ და განმეორებთა გთხოვთ ეს საკითხი გავვირკვიოთ. ნოე რამიშვილის მოკვლის გამოძიება ჩვენი კომისიის მუშაობის საგანს არ შეადგენს და ამიტომ ამ საკითხის შესახებ უტარდასაღეს მასალა არ მოგვეპოება. ერთმა მოწმეთაგანმა ბ. გეგელიას, სხვათა შორის, რამიშვილის მკვლელობაში ერთნაირ მონაწილეობის ბრალ-

დებაც წაუყენა. ეს ბრალდება საგანგებოდ გამოყოფილმა კომისიამ გამოძიდა და მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში, რამდენათაც ბ. გეგელიას შეეხებოდა. თუ მოისურვებთ ამ საგანგებო კომისიის მიერ გამოტანილ აზრს მოგართმევთ და განმარტებისათვის ამ განსაკუთრებულ კომისიის თავჯდომარე ვეახლებათ. დავსთვებო თქვენი ღრმა პატივისცემული, კომისიის თავჯდომარე გ. ჟურული. პ. ს. — ამასთან ერთად ბ-ნ ვაკარის უკანასკნელი წერილის ასლსაც გიგზავნი.“

ამ წერილში საგამომძიებლო კომისია უკვე პირდაპირ ეუბნება ბ. ყორღანის: — რას ტყვიო, კვალმა თქვენთან მოგვიყვანა და ეუბები თქვენზე გვაქვსო. მაგრამ ბ. ყორღანის აღარ სურს წერილის წერა. ის იწვევს ბ-ნ ჟურულს, რომლისათვისაც უთქვამს, „რომ გასავეები მიზეზების გამო, იგი ამ საქმის გამოძიების შესახებ გამოსთქვამს თავის აზრს მხოლოდ როგორც კერძო პირი“. მისი აზრით დემიდოვის როლის აღმოჩენას დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს ბოლშევიკების მუშაობის ბოროტი ხასიათის გამოსამკლავებლად. გამყრელიძის წერილის შესახებ მასაც ეჩვენება, რომ ქართველი მოღვაწე იქ მოთავსებულ მთელი რიგ შეცდომებისა ვერ დაუშვებდა. (პირველად ასეთი აზრი გამოთქმული აქვს ბ. მენაღარაშვილს. —კ-ი.) არსებითად ბ-ნ ყორღანისმა გაიმეორა ის, რაც მას ნათქვამი აქვს ჩვენდამი გამოგზავნილ პირველ წერილში“.

აი შემდეგი, რომელიც გამოიღო შემოძრევილი კომისიის წერილი!

ყველასათვის ცხადია, რომ ბ-ნი ყორღანი გაუტრბის პირდაპირ პასუხს. რას წარმომადგენენ ის „გასავეები მიზეზები“, რომლებიც ხელს უშლიან ემერატის მეთაურს დაიცვას ემიგრაცია ცილისწამებათაგან? და თუ ვინდ ასეთი მიზეზებიც დაეუშვათ, ნუ თუ ბ-ნ ყორღანის არ შეეძლო „როგორც კერძო პირი“ ვაკართან, ჩარეულიყო ამ საქმეში და გამყრელიძის ზურგს უკან დამატულ

„ქართველ მოღვაწეების“ გამოაშკარავებაში მონაწილეობა მიელო? რას ნიშნავს ეს განმეორებითი ქება ჯაშუშისა და ხმამალის შიქსტა, თითქოს — და ბოლშევიკების მარცხის შესახებ და შემდეგ: — აბა, როგორ მოგწონთ ეს ცალი ყბით ნათქვამი: ქართველი მოღვაწე იქ მოთავსებულ მთელ რიგ შეცდომებისა ვერ დაუშვებდაო. განა ასეთი უნდა იყოს ქართული საქმის ხელმძღვანელის პასუხი? ჩვენ გვგონია, რომ პასუხი უნდა ყოფილიყო სულ სხვანაირი, — ცხადი, პირდაპირი, გარკვეული, ყოველივე ბუნდოვანებას მოკლებული, მაგარი და მკაფიო. აი ისეთი, მაგალითად, როგორც არის პასუხი ბ-ნ სამსონ ფირცხალავასი, რომელიც აღუფრთხვლები ეუბნება საგამომძიებლო კომისიას: — „რა კავშირი უნდა მქონდეს მე ვინმე პროვოკატორთან და მის მუშაობასთან“—ო... ან კიდევ ისეთი, როგორც არის პასუხი ბ-ნ იოსებ გობეჩიასი, ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის და სხვების.

ჩვენ გვგონია, რომ აქ აღარაფერია ბინდში დაჩრჩილი, ყოველისფერი გარკვეულია და ცხადი.

მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნა აღნიშნოთ ერთი გარემოება. ბ-ნ ყორღანის ჩვენების გარეშე მდებარე, მაგრამ პირადათ მასთან დაკავშირებული. 1933 წლის 26 მაისს და 3 ენკენისთვის რუსული გაზეთის „პოსტ. ნოვ.“-ის თანამშრომელმა ბ. ვაკარმა განაცხადა: — ჩემი ინფორმაციები იმ საქმის გამო, რომელიც ქართულმა ასოციაციამ ბოროტმოქმედებად მიიჩნია, არიან უკანასკნელი მოღვაწეები და ეკუთვნის პოლიტიკური ცენტრის“ ხელმძღვანელობასო. 14 ენკენისთვის საგამომძიებლო კომისიამ ეს ჩვენებები გადაუგზავნა აღნიშნული „ცენტრის“ თავჯდომარეს ბ-ნ ყორღანისა. და ამის შემდეგ გადის თერთმეტი თვე და ბ-ნი ყორღანი არც პასუხსა სთხოვს ბ-ნ ვაკარს და არც რაიმე ისეთ მოქმედებას სჩადის, რომლის მიზანი იყოს ლაჩარ ბოროტმოქმედთა აღმოჩენა. რატომ?